



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 45
18/07/2018

45-06-4-201807181726



განკარგულება N45

18 ივლისი 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძების იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში, 10 წლის ვადით, შ.პ.ს. „მაგთიკომი“-სთვის გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. სარგებლობის უფლებით გადასაცემი გარე განათების ბოძების ადგილმდებარეობები (ქუჩების დასახელებები) და რაოდენობები განკარგულებას თან ერთვის დანართის სახით.

მუხლი 3. იჯარის უფლებით გამოყენებულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (აუდიტური კომპანია „კომპაუდი“-ს 2018 წლის 15 ივნისის N115-ა დასკვნის შესაბამისად) 3374 (სამიათასსამასამოცდათოთხმეტი) ლარით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ღურჯუაშვილიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო